KA030184250462220

№ 01-1903 **04 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის მოადგილის, საინვენტარიზაციო
კომისიის თავმჯდომარის
გიორგი წოწკოლაურის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, **„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის სამედიცინო მომარაგების ბაზაში (ქობულეთის რაიონი, სოფ. ხუცუბანი) არსებული მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 7 თებერვლის №01-42/ო ბრძანებით საინვენტარიზაციო კომისიას დაევალა სამინისტროს აჭარის სამედიცინო მომარაგების ბაზაში (ქობულეთის რაიონი, სოფ. ხუცუბანი) არსებული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით, მომზადდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 14 თებერვლის №01-45/მ ბრძანება „გურამ გიორგობიანის, ზურაბ ტყემალაძისა და მიხეილ ნაჭაპურიძის მივლინების შესახებ“. ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი - გურამ გიორგობიანი, ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - ზურაბ ტყემალაძე და შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - მიხეილ ნაჭაპურიძე იმყოფებოდნენ სოფ. ხუცუბანში, სადაც მათ მიერ, სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთან (საინვენტარიზაციო კომისიის წევრი) - ზებურ ავალიანთან ერთად მოხდა 1149 დასახელების, 331916.64 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და არსებულ საბუღალტრო მონაცემებთან შედარება.

ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ საწყობში არსებული მატერიალური ფასეულობები რაოდენობრივად შეესაბამება საბუღალტრო მონაცემებს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვიზუალური შეფასებით, საწყობში არსებული მატერიალური ფასეულობების უმრავლესობა შემდგომი ექსპლუატაციისათვის უვარგისია ან/და მორალურად მოძველებულია. იმ ფაქტის დასადგენად, არსებული მატერიალური ფასეულობებიდან რომელი ექვემდებარება ჩამოწერა-განადგურებას, რომელია ჯართის სახით ან არსებული სასაქონლო სახით გადასაცემი სსიპ - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის, საჭიროა შესაბამისი ექსპერტული დასკვნა. ამასთან ერთად საჭიროა სერტიფიცირებული აუდიტორის დასკვნა მატერიალური ფასეულობების ღირებულების განსასაზღვრად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას, საექსპერტო შეფასების მომსახურების შესყიდვის მიზნით გავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები.

წარმოგიდგენთ საინვენტარო აღწერის დოკუმენტაციას (შედარების უწყისს) და გთხოვ, 2020 წლის 7 თებერვლის №01-42/ო ბრძანებით განსაზღვრული დავალება ჩაგვითვალოთ შესრულებულად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

გიორგი წოწკოლაური